



17 ოქტომბერი

შეხვედრა გაიმართა „რედისონ ბლუ ივერიაში“. ორგანიზაციების რეკომენდაციები შეეხებოდა ახალი საარჩევნო კოდექსის პროექტით შემოთავაზებულ საარჩევნო სისტემას, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მარეგულირებელ ნორმებს, არჩევნების დაფინანსების გამჭვირვალობისა და მონიტორინგის საკითხებს, საარჩევნო სიების ფორმირებას, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და საარჩევნო დავების პროცედურებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

შეხვედრის დროს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მხრიდან მოხდა ორგანიზაციების მიერ დაყენებული საკითხების ნაწილის გაზიარება, თუმცა, რეკომენდაციებს შორის კვლავ რჩება მნიშვნელოვანი თემები, რომლებიც იურიდიული კომიტეტის მხრიდან განხილვას და შესაბამისად ცვლილებებს აღარ დაექვემდებარება, მაგალითად, დეპუტატთა რაოდენობის ზრდა, ამომრჩეველთა სიების ფორმირება სპეციალური კომისიის მიერ. გარდა აღნიშნულისა, არსებობს საკითხთა ნაწილი, რომელთა შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არსებობს დისკუსიის გაგრძელების სურვილი, მათ შორის არის მარკირების პროცედურის გაუქმების, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის საკითხები.